საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №221
2025 წლის 21 აგვისტო

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბიუჯეტის განმკარგველი – 4003 – „ა(ა)იპ – ამბროლაურის დ. თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლა“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„368	4003	ა(ა)იპ – ამბროლაურის სკოლისგარეშე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება ,,დავით და ლექსო თორაძეების სახელობის ხელოვნების სკოლა“

ბ) ბიუჯეტის განმკარგველის – 5387 – ა(ა)იპ – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის „ლელოს და რაგბის კლუბი ჯანი და ღონე“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

„1520[228]	5388	ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული ჰაბი“;

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**